აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებთან მომუშავე თერაპევტების სამუშაო სტრესი

(საქართველოს მაგალითი)

ქეთევან ლეჟავა

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სარჩევი

აბსტრაქტი 4

შესავალი 5

ლიტერატურის მიმოხილვა 9

- აუტიზმის სპექტრი და თერაპიული მიდგომები 9
- სამსახურთან დაკავშირებული სტრესი 12

კვლევის მეთოდი 14

- მონაწილეები 14
- მონაცემთა შეგროვება 16
- მონაცემთა ანალიზი 16

შედეგები 19

- თემა 1. ბავშვის მშობლების უნდობლობა თერაპევტების მიმართ 20
- თემა 2. არაკომფორტული სამუშაო პირობები 23
- თემა 3: პროფესიული განვითარების შესაძლებლობის დეფიციტი 26
- თემა 4. პროფესიული აუღიარებლობის და დაუფასებლობის განცდა 28

ანალიზი 31

დასკვნა და რეკომენდაციები 34

გამოყენებული ლიტერატურა 36

დანართი I - კითხვარი 41

დანართი II - კოდები 47

აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევა ჩატარადა აუტიზმის სპექტრის დიაგნოზის მქონე ბავშვების თერაპევტების სამუშაო სტრესის აღსაწერად. კვლევის მიზანი იყო დაედგინა რას უკავშირებენ თერაპევტები სამუშაო სტრესს და რა გავლენას ახდენს სამუშაოსთან ასოცირებული სტრესი მათზე. კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 20-მა თერაპევტმა, შერჩევაში პროპორციულად იყო განაწილებული ქცევითი, სენსორული, მეტყველების და ოკუპაციური თერაპევტების რაოდენობა. ისინი მუშაობენ საქართველოს სამ ქალაქში(თბილისში, ქუთაისში და ბათუმში) არსებულ სხვადასვხა ცენტრებში. რესპონდენტებს ჩაუტარდათ ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული იტერვიუები და მიღებული მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზით. კვლევის შედეგების მიხედვით გამოიყო ოთხი გლობალური თემა, რომელიც სტრესის გამომწვევია თერაპევტებისთვის, ესენია: პროფესიული განვითარების შესაძლებლობის დეფიციტი, არაკომფორტული სამუშაო პირობები, ბავშვის მშობლების უნდობლობა და პროფესიული არაღიარება და დაუფასებლობა. კვლევა ჩატარადა საქართველოში და ასახავს ქართულ რეალობას.

საკვანძო სიტყვები: აუტიზმის სპექტრის დიაგნოზი (ასა), ქცევითი თერაპევტი, სენსორული თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, სტრესი, სამუშაო სტრესი